11/09/2025

MES 5 25 0001120676

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ეკატერინე წიფურია - სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის ,,თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარებისთვის" სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

ნინო ბერიკაშვილი - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ,,არაქართულენოვანი სკოლების მხარდაჭერის" ქვეპროგრამის მენეჯერი, საბჭოს მდივანი;

პეტრე ბაბილუა - შპს - „ევროპული სკოლის" მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;

დავით მალაზონია- შპს - „თანამედროვე განათლების აკადემია - სკოლა და ბაღის"დირექტორი, საბჭოს წევრი;

მანანა თურქაძე - შპს ,,ინტერნაციონალური მაარიფის სკოლები საქართველოში" დირექტორთა საბჭოს წევრი და მთავარი მრჩეველი განათლების საკითხებში, საბჭოს წევრი;

ნონა ჩუბინიძე - სსიპ - ქალაქ ქუთაისის №14 საჯარო სკოლის დირექტორი;

დავით კახნიაშვილი - შპს - „თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმ მწიგნობართუხუცესის" დირექტორი, ა(ა)იპ - „არასამთავრობო (კერძო) სასწავლებლების ასოციაციის" თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;

ეკატერინე გურგენაშვილი - სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ თელავის №4 საჯარო სკოლის მასწავლებელი, 2024 წლის მასწავლებლის ეროვნული პრემიის გამარჯვებული, საბჭოს წევრი;

ირმა ამირანაშვილი - შპს - ,,ქორალის" ხარისხის მართვის მენეჯერი, საბჭოს წევრი;

კახაბერ ჩაკვეტაძე - სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირის საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

თეა სვიმონიშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისის №12 საჯარო სკოლის მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

ქეთევან ნატროშვილი - შპს - ,,ქართული სასწავლებელი - თბილისის" დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

თამარ ფიფია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ- ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლა:
ირინე გაგოშიძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთის საჯარო სკოლა:
მაია აბესაძე - სკოლის დირექტორი
სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლა:
გულიკო ფირცხალავა - სკოლის დირექტორი
სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა:
მაია ტოლიაშვილი - სკოლის დირექტორი
შპს აკადემოსი:
თამარ ჩანტლაძე - სკოლის დირექტორი
შპს სკოლა ლილე:
საბა ნათენაძე - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

სსიპ- ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლა:
ა) ციალა გაგნიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) დავით ჩოჩიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ირმა ქურდაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) თამარ შალვაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) სალომე ზარქუა (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეთერი ივანელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) სალომე გოგალაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ბელა დურგლიშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ნატო გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთის საჯარო სკოლა:
ა) ქეთევან ბაცანკალაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ქრისტინე ძიძიგური (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) რომანი გაბუნია (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ლალი ლალიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარინე რეხვიაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ინგა კაჭარავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) შორენა ნიკოლეიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ხათუნა ბენდელიანი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევანი ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლა:
ა) მაია მამისეიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ლელა წურწუმია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ნინო ფსუტური (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) მარიამ ლეკიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) თაია მამარდაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) დავით ხუციშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ნინო თედიაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) კობა დეკანაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნინო კოვზიაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - გორის მუნიციპალიტეტი სსოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლა:
ა) მაია ლაპიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თორნიკე შევარდნაძე(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) მანანა ვარდოსანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ქეთევან ლარცულიანი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) მაია დოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ეკატერინე ხუცოშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) მარინე ჩახვაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) ციცინო გობაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ქეთევანი ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს აკადემოსი:
ა) ვერა ყურულაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ნინო მარღიშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

შპს სკოლა ლილე:
ა) მამუკა ხამხაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) თეა ტაბატაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია. საბჭოს სხდომა 2025 წლის 27 აგვისტოს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom-ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 14:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ- ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს აკადემოსის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს სკოლა ლილეს მიერ სწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ცენტრს დაუკავშირდა შპს მერაბ ჭოხონელიძის საავტორო სკოლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, რომელიც ობიექტური მიზეზიდან გამომდინარე ვერ შეძლებდა საბჭოს სხდომაზე დასწრებას, შესაბამისად დააყენა შუამდგომლობა აღნიშნული საკითხის უახლეს საბჭოს სხდომაზე (1-ელი სექტემბერი) გადატანასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სსიპ- ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს აკადემოსის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს სკოლა ლილეს მიერ სწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

1. სსიპ - ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს,

დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ- ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 03 და 04 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 1200. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1200 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ სკოლის შენობა იყო ახალგარემონტებული და ჰქონდა საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ვინაიდან 1-ელ სტანდარტთან გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინებისთვის სკოლას მითითებული ჰქონდა 2025 წლის 15 სექტემბერი, რა მდგომარეობა იყო ამ მიმართულებით.

სკოლის დირექტორმა, ირინა გაგოშიძემ, აღნიშნა, რომ გადახედეს სტრატეგიულ გეგმას, შეიმუშავეს პროექტი და 15 სექტემბრამდე დაამტკიცებდნენ სამეურვეო საბჭოსთან. აქვე, ექიმთან დაკავშირებით განმარტა, რომ გამოცხადებული ჰქონდათ ვაკანსია და დაინტერესებული იყო 4 კანდიდატი, ჩატარდებოდა შერჩევა და აიყვანდნენ შესაბამის კვალიფიციურ კადრს. მისი თქმით, დაწესებულებას ასევე მოპოვებული ჰქონდა სსიპ-ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, რომლის თანახმადაც სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი.

საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ჰქონდა თუ არა სკოლას რაიმე კლუბი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის, ირმა ქურდაძის განმარტებით, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით სკოლას ჰქონდა საკმაოდ კარგი ლაბორატორია და რესურსები, ასევე, განხორციელებული კომპლექსური დავალებები და შემოქმედებითი პროდუქტები. მისი თქმით, სკოლას ჰქონდა ინტეგრირებული პროექტები.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ მათემატიკის კურიკულუმებს ესაჭიროებოდა გადახედვა და რევიზია. მანმიმართა მათემატიკის საგნობრივ ექსპერტს, მეტი დეტალი გაეცნო საბჭოსთვის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, ნატო გერგაიამ, აღნიშნა, რომ კურიკულუმებთან დაკავშირებულ გარკვეულ ხარვეზებზე ჰქონდა მასწავლებლებთან კომუნიკაცია და ვიზიტის პერიოდშივე გათვალისწინებულ იქნა ზეპირსიტყვიერად გაცემული რჩევები. მისი თქმით, შემდგომ დაწესებულებამ გადმოაგზავნა გამოსწორებული დოკუმენტაცია და მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის.
საბჭოს მდივანმა, ნინო ბერიკაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელსა და ექსპერტებს, საბჭოსთვის მეტი დეტალი გაეცნოთ „პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებთან“ დაკავშირებით.
ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, ასევე ჰქონდათ საგაკვეთილო პროცესზე ურთიერთდასწრების მექანიზმი და წარმოდგენილი იყო შეფასების ფორმები, ასევე, მასწავლებლები პერიოდულად გადიოდნენ სხვადასხვა მიმართულების ტრენინგს. აქვე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა, ირმა ქურდაძემ, დასძინა, რომ ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ მასწავლებლები ატარებდნენ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას და ახდენდნენ ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას.
საბჭოს წევრი, ეკატერინე გურგენაშვილი დიანტერესდა, გეგმავდა თუ არა სკოლა ამწოვი კარადის შეძენას.
ექსპერტმა, ციალა გაგნიძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომელსაც გამოყოფილი ჰქონდა რეაქტივების შესანახი ცალკე ოთახი. აქვე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც გეგმავდნენ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიისთვის ამწოვი კარადის შეძენას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ- ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1200 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:22
დასრულების დრო - 14:34

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N190 საჯარო სკოლას (ს/კ: 200007919) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების

სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1200 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, სამღერეთის ქუჩა N3.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, სამღერეთის ქუჩა N3.
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, სამღერეთის ქუჩა N3.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში 1.2 და 3.4 ინდიკატორებთან მიმართებით, სტრატგიული გეგმის სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის, ექიმის აყვანის, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის, ხოლო, 2026 წლის აგვისტოში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიაში ამწოვი კარადის დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

2. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი

განხორციელდა 2025 წლის 16 და 17 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 250. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 250 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში იყო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც თავმოყრილი იყო ჭიათურა-კაცხის მიდამოებში აღმოჩენილი უძველესი არტეფაქტები, მინერალები, ცხოველთა და მცენარეთა ნაშთები და საყოფაცხოვრებო ნივთები, რომლებსაც ჰქონდათ ისტორიული მნიშვნელობა. მისი თქმით, სკოლაში დასაქმებულნი იყვნენ კვალიფიციური და მოტივირებული სპორტის მასწავლებლები, სკოლა ფლობდა კეთილმოწყობილ სპორტულ მოედანსა და დარბაზს, ასევე, მრავალფეროვან სპორტულ ინვენტარს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა მოსწავლეთა კლუბები, ხორციელდებოდა პროგრამები, პროექტები და სხვა არაფორმალური განათლების აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავდა მისიასა და ხედვაში განსაზღვრული პრიორიტეტების მიღწევას.

ექსპერტმა, ქეთევან ბაცანკალაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები), მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო და ჰქონდა საგანმანათლებლო სერვისის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, განაახლა თუ არა სკოლამ აზომვითი ნახაზი და თუ შეიტანა ცვლილებები საჯარო რეესტრის ამონაწერში.

სკოლის დირექტორმა, მაია აბესაძემ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას განახლებული ჰქონდა აზომვითი ნახაზი და შესაბამისი ცვლილება შეტანილი ჰქონდა საჯარო რეესტრის ამონაწერში.

საბჭოს წევრი, მანანა თურქაძე დაინტერესდა, არაფორმალური განათლების მიმართულებით რა ღონისძიებებს ატარებდა სკოლა.

სკოლის წარმომადგენლის განმარტებით, თითოეულ კათედრაზე შექმნილი იყო კლუბები, რომლებიც მუშაობდნენ სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის „ეკო კლუბი“, „მარჯვე ხელები“ (აღნიშნულის ფარგლებში მოსწავლეები ამზადებდნენ სხვადასხვა ნივთებს და შემდგომ გადასცემდნენ სოციალურად დაუცველ ოჯახებს). მისი თქმით დაწესებულებაში მოწყობილი იყო სპეციალური სივრცეები, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებდნენ იდეებს.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

სკოლის დირექტორის, მაია აბესაძის განმარტებით, სკოლაში სწავლობდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ორი მოსწავლე.

საბჭოს წევრმა, პეტრე ბაბილუამ, აღნიშნა, რომ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში იკვეთებოდა გარკვეული ხარვეზი და მიმართა ექსპერტებს, აღნიშნულთან დაკავშირებით მეტი დეტალი გაეცნოთ საბჭოს წევრებისთვის.

მათემატიკის საგნობრივმა ექსპერტმა, შორენა ნიკოლეიშვილმა, აღნიშნა, რომ შემოქმედებითი დავალების ნაწილი კურიკულუმებში მეტ-ნაკლებად ცარიელი იყო და გასცა რჩევა ამ

მიმართულებით. მისი თქმით, მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა გაცემული რჩევების გათვალისწინებისთვის.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი დაინტერესდა, როგორი იყო მოსწავლეთა ჩართულობა არაფორმალური განათლების მიმატულებით არსებულ კლუბებში.
სკოლის დირექტორის თქმით, მოსწავლეები იყვნენ დაინტერესებულნი და აქტიურად ჩართულნი ზემოაღნიშნულ კლუბებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 14:46
დასრულების დრო - 14:51

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორეთის საჯარო სკოლას (ს/კ: 239403329) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქორეთი.
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქორეთი.

3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი ქორეთი.

3. სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია მამისეიშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 26 და 27 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 169. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 169 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ მოსწავლეებს შექმნილი ჰქონდათ სხვადასხვა ნამუშევრები. ასევე, სკოლას ჰქონდა მრავალი მიღწევა და დამადასტურებელი მტკიცებულებები სერტიფიკატებისა და თასების სახით, რომლებიც გამოფენილი იყო დერეფნებში.

ექსპერტმა, მაია მამისეიშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ესაჭიროებოდა რეაბილიტაცია. აქვე, აღნიშნა, რომ სკოლის ეზოში მდებარეობდა შენობა-ნაგებობები რომლის დემონტაჟი იყო აუცილებელი.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.

ექსპერტის, მაია მამისეიშვილის თქმით, სკოლას მოპოვებული ჰქონდა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, რამდენად დაცული იყო მოსწავლეთა უსაფრთხოება სკოლაში, ჰყავდა თუ არა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი სკოლას.
ექსპეტრის, მაია მამისეიშვილის თქმით, სკოლას ჰქონდა მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. აქვე, სკოლის დირექტორმა, გულიკო ფირცხალავამ, აღნიშნა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მოსწავლეთა უსაფრთხოებას.
საბჭოს მდივანი, ნინო ბერიკაშვილი, დაინტერესდა, რა ვითარება იყო ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლების ვაკანსიის გამოცხადებასთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის თქმით, რამდენჯერმე გამოაცხადეს ვაკანსია, თუმცა, ვერ შეირჩა კვალიფიციური კადრი.
აქვე, საბჭოს მდივანი დაინტერესდა, ამ პრობლემით მიმართული ჰქონდა თუ არა სკოლას მასწავლებლის სახლისთვის.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრისთვის მიმართული ჰქონდა რესურს ცენტრისათვის.
საბჭოს წევრი, კახაბერ ჩაკვეტაძე დაინტერესდა, იყო თუ არა ადაპტირებული გარემო სკოლაში და ჰყავდა თუ არა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, ასევე, რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორი იმისათვის, რომ განეახლებინათ სკოლის ვებ-გვერდი.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სამი მოსწავლე. მისი თქმით, პირველ სართულზე მდებარეობდა რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა, სველი წერტილი და სავალდებულოდ ხელმისაწვდომი ყველა ოთახი.
სკოლის დირექტორის, გულიკო ფირცხალავას განმარტებით, განახლებული ჰქონდათ ვებ-გვერდი, თუმცა რჩევაში გაწერილ საკითხთან დაკავშირებით დაწყებული ჰქონდათ მუშაობა.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია დაინტერესდა მასწავლებელთა მორიგეობით და სკოლის წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა რამდენად თავსებადი იყო მასწავლებლის საქმიანობა და მორიგეობა.
სკოლის დირექტორმა, გულიკო ფირცხალავამ, აღნიშნა, რომ მორიგეობის ცხრილი შედგენილი იყო იმგვარად, რომ თავსებადი ყოფილიყო მასწავლებლის საქმიანობა და მორიგეობა.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე გურგენაშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა მდგომარეობა იყო სკოლის ეზოში არსებული შენობების დემონტაჟთან დაკავშირებით.
სკოლის დირექტორის თქმით, მიმართული ჰქონდათ სსიპ-ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის და აპირებდნენ აუქციონის გამოცხადებას.
საბჭოს წევრი, დავით მალაზონია დაინტერესდა, რას იგულისხმებოდა აუქციონის გამოცხადებაში.
სკოლის დირექტორის თქმით, დემონტაჟის უფლების მოპოვების შემდეგ, გამოაცხადებდნენ აუქციონს იმ კომპანიაზე, რომელიც განახორციელებდა შენობების დემონტაჟს.
საბჭოს წევრი, დავით კახნიაშვილი დაინტერესდა, რეაბილიტაციისთვის მიმართული ჰქონდათ თუ არა შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის.
სკოლის დირექტორის განმარტებით, აღნიშნულისთვის მიმართული ჰქონდა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 169 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:12
დასრულების დრო - 15:19

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2[1] და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ხონის მუნიციპალიტეტის სოფელ დედალაურის საჯარო სკოლას (ს/კ: 244970714) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 169 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი დედალაური
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი დედალაური
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხონის მუნიციპალიტეტი, სოფელი დედალაური

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2026 წლის სექტემბერში 3.1 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლის დასაქმების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატროიის მოწყობისა და ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მონტაჟის, ხოლო 2027 წლის სექტემბერში 3.4 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, სკოლის ტერიტორიაზე არსებული ავარიული შენობების დემონტაჟისა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

4. სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 16 და 17 ივნისს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა იყო 720. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 720 მოსწავლისთვის. ექსპერტმა განაცხადა, რომ სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებდა ორ მისამართზე, გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ მეჯვრისხევში ქუჩა 35 N1-ში (სამივე საფეხური) და ქალაქ გორში, ქუჩა N43, უბანი-2 (მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლება) (მხოლოდ დაწყებითი საფეხური).

ექსპერტმა, მაია ლაპიაშვილმა, ისაუბრა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებაზე და აღნიშნა, რომ 1-ელი (სკოლის ფილოსოფია) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მე-2 (სასკოლო კურიკულუმი) (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა „მეტწილად“, ხოლო მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა „ნაწილობრივი“ შესაბამისობით.

ექსპერტის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ, დაწესებულების მიმართ, გაიცა რეკომენდაციები და რჩევები, რომლებიც აღწერილი იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებაზე და აღნიშნა, რომ მართვის სტრუქტურები ფუნქციონირებდნენ აქტიურად, ასრულებდნენ ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელოვან როლს, სკოლის მიერ მიღებული დამატებითი შემოსავალი სრულად ხმარდებოდა სკოლის განვითარების საჭიროებებს. მისი თქმით, სკოლაში ფუნქციონირებდა მოსწავლეთა მიერ ინიცირებული კლუბები და მხარდაჭერილი იყო შემოქმედებითი აქტივობები. სკოლა ასევე, თანამშრომლობდა პროფესიულ ორგანიზაციებთან და ხელს უწყობდა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას.

ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ არ ჰქონდა შიდა სპორტული დარბაზი, ასევე, მისი თქმით, სკოლის ტერიტორიის დიდი ნაწილი არ იყო შემოღობილი, გარდა ამისა, სკოლის შენობაზე მიდგმული იყო კულტურული მემკვიდრეობის მქონე პატარა შენობა, რომელიც წარმოადგენდა გამოწვევას დაწესებულებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა სკოლას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე და იყო თუ არა შესაძლებელი ლაბორატორიების პირველ სართულზე განთავსება.
სკოლის დირექტორმა, მაია ტოლიაშვილმა, აღნიშნა, რომ სკოლას ჰყავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 4 მოსწავლე, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე სკოლას არ ჰყავდა. მისი თქმით ლიფტის მოწყობისთვის მიმართული ჰქონდათ შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანოსთვის და იმ შემთხვევაში თუ მიიღებენ შშმ მოსწავლეს, ლაბორატორიებს განათავსებდნენ 1-ელ სართულზე.
საბჭოს თავმჯდომარე, ეკატერინე წიფურია დაინტერესდა, მოიპოვა თუ არა სკოლამ შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა.
სკოლის დირექტორის თქმით, სკოლამ ორივე შენობაზე მოიპოვა შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა, რომლის თანახმადაც ორივე შენობის ტექნიკური მდგომარეობა იყო დამაკმაყოფილებელი.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი, დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას ადაპტირებული საპირფარეშო.
სკოლის დირექტორის თქმით 1-ელ სართულზე განთავსებული იყო ადაპტირებული სველი წერტილი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 720 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:31
დასრულების დრო - 15:34

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-2^1 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევის საჯარო სკოლას (ს/კ: 218049083) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 720 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის,

			პროგრამის განხორციელების ენა	ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეჯვრისხევი ქუჩა 35 N1; გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეჯვრისხევი, ქუჩა 43 უბანი 2 (მეფრინველეობის ფაბრიკის დასახლება)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტის, სოფელი მეჯვრისხევი ქუჩა 35 N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი მეჯვრისხევი ქუჩა 35 N1

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება:

2025 წლის სექტემბერში 3.4 კომპონენტთან მიმართებით, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა, ხოლო 2027 წლის სექტემბერში, 2.2 და 3.5 კომპონენტებთან მიმართებით, სპორტული დარბაზის მოწყობის, სკოლის ეზოს შემოღობვისა და ადაპტირებული გარემოს მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

5. შპს აკადემოსის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკ ითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, ვერა ყურულაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 11 ივლისს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებას წარდგენილი მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადითმოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა იყო 270. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ

აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 270 მოსწავლისთვის.
ექსპერტის, ვერა ყურულაშვილის, განმარტებით, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი გარემო, ჰქონდა გარე სპორტული მოედანი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, ლიფტი, ბიბლიოთეკა და კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აკადემოსის მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 270-ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:41
დასრულების დრო - 15:45

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს აკადემოსს (ს/კ: 202061295) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 270-ით.

6. შპს სკოლა ლილეს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, ეკატერინე წიფურიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინა ექსპერტმა, მამუკა ხამხაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2025 წლის 22 ივლისს. ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებას წარდგენილი მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადითმოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა იყო 390. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 390 მოსწავლისთვის.
ექსპერტის, მამუკა ხამხაძის, განმარტებით, მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
მისი თქმით დაწესებულებაში ვიზიტის დროს იყო 22 კეთილმოწყობილი საკლასო ოთახი, რომელთა უმრავლესობის ფართი იყო 27 კვ.მ და თავსდებოდა 18 მოსწავლე, ხოლო 33 კვ.მ ოთახებში შესაძლებელი იყო 18 მოსწავლეზე მეტის მოთავსება.
ექსპერტმა წარმოადგინა სკოლის შენობის ამსახველი ფოტო - მასალა და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში შექმნილი იყო კეთილმოწყობილი და ადაპტირებული გარემო, რეკრეაციული ზონა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ყველა რესურსი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრი ეკატერინე გურგენაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა სკოლას რესურს ო თ ა ხ ი .
სკოლის დირექტორის, საბა ნათენაძის განმარტებით, სკოლას ჰქონდა რესურს ოთახი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ლილეს მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდისა და 390-ით განსაზღვრის საკითხი.
ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო - 15:54
დასრულების დრო - 15:58

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 29-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ლილეს (ს/კ: 209440728) მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 390-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, 16:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბერიკაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
წიფურია ეკატერინე